სოციალდემოკრატიული ფურცელი

ქუთაისი,
შაბათი, 17 დეკემბერი
1905
ნომერი 3 კაპეიკი. ✳ წელიწადი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 4. ყოველ-დღიური გაზეთი. № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალდემოკრატიული ფურცლის“
რედაქცია იღებს გაზეთში დასაბეჭდათ ყოველგვარ განცხადებებს.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე 25 კაპ. თორმეტი ნომერი ასოთი თითოჯერ დაბეჭდვა 10 კაპ., მეოთხე გვერდზე 5 კაპ.

ადრესი: ქუთაისი. ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“

რედაქცია მთავრდება.

ბუშინ ტელეგრაფმა გვაუწყა: თფილისის მაზრაში და კავკასიის რკინის გზაზედ თფილისის მაზრიანა სამხედრო წესები შემოიღეს და თფილისის სადგური ჯარის ხელშიაო. აღსრულდა რაც მოსალოდნელი იყო: რევოლიუციამ თვითმპრობელობის მთავრობას კითხვა დაუსვა: ან ნებით ჰყავი უარი შენ თავს ან ძალით მოგსპობსო. მთავრობამ რევოლიუციის ხელით სიკვდილი არჩია. მას დღემდის არ ეგონა თუ რევოლიუცია ასე მკაცრათ დაუსვამდა მას კითხვას; მან იმდენათ დაკარგა გონება, რომ დღემდის ფიქრობდა რევოლიუციის ტალღებზედ იტივტივებდა და ბოლოს უვნებლათ ნაპირზედ გამოსცურავდა, მაგრამ მწარეთ მოსტყუვდა, იმედი წაერთვა: ან სიკვდილი, ან უკან ქცევაო, კიდევ შესძახა მრისხანეთ მას პროლეტარიატმა და თვით იძულებულიყო იგი უკანასკნელი ძალები მოეკრიბა, პირდაპირ ბრძოლის ველზედ გამოსულიყო და ბრძოლა მიეღო და გამოდის კიდეც: მან სავსებით გამოაჩინა თვისი საზიზღარი ბრჭყალები, რომ ჩასჭიდოს მთელ რუსეთს, ჩაიკლას შიდ და მტაცებლის სიხარბით პირამდის სისხლით და ლეშით აივსოს. ამრიგათ რეაქცია თავის ლოღიკურ შედეგამდე მივიდა: თუ მოისპობა თვითმპყრობელობა, მასთან ერთათ უნდა მთლიანათ უფსკრულშიდ ჩაინთქას მთელი რუსეთი; მისმა არყოფამ რუსეთი არარათ აქციოს, მის სამარეში მასთან ერთათ უნდა დაიმარხოს რუსეთის ხალხი. ასე ბრძავდება დღითი დღე მთავრობა და მასთან ერთად რუსეთის ბნელი ძალები, ასე გაიტაცა იგი სურვილმა ერთხელაც არის კიდევ სცადოს, რომ უკანასკნელი განკითხვის დღე ცოტა ხნით მაინც გადასდოს. მას ფაქტიურათ თელი სახელმწიფო სამხედრო წესი შემოაქვს; ცხადია იგი ამ წესს მალე საალყო წესით შეცვლის და იძულებული- გახდება პროლეტარიატის და მასთან ერთათ სხვა რევოლიუციონურ ძალებს შეეტაკონ. დიახ, სწორეთ დროა არის; დროა ერთი მეორეზედ მიყოლებული დაკვრით ბარემ დავანარცხოთ ძირს თვითმპყრობელობის მთავრობა, დროა ამ გადამწყვეტი მომენტით სავსებით ვისარგებლოთ, ყოველი ხერხით იერიში მივიტანოთ მტერზედ და გამარჯვებაც ჩვენია. მაშ, მოქალაქენო, შორს მცირეოდენი ყოყმანიც კი; რა კი ძალა შეგვწევს ქადილის, უკანასკნელათ მოვიმარჯვოთ იარაღი და ყოველ წუთს მზად ვიყოთ.

ფოსტა-ტელეგრაფის ბაფიცულ მოხელეთა მიმართ.

აგერ ექვსი კვირა გადის მას შემდეგ, რაც თქვენ იერიში მიიტანეთ თვითმპყრობელობის მთავრობაზედ და შიშის ხარი დასცით მას. თქვენის გაფიცვით თქვენ ცხადყავით ყველასათვის, რომ 17 ოკტომბრის მანიფესტი ერთი დიდი პროვოკაცია იყო რომ მთავრობა ჩვეულებრივათ აქაც ვერაგულათ და სამარცხვინოთ სტყუოდა. მოინდომეთ თუ არა თქვენც გესარგებლათ მანიფესტით აღმაღლეთ თუ არა ხმა თქვენი მონური არსებობის წინააღმდეგ, განაცხადეთ თუ არა, რომ თქვენც მოქალაქენი ხართ და არა დაქირავებული მანქანები, რომ თქვენც შეგიძლიათ თანაუგრძნოთ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, იმ წამსვე თქვენც და სხვამაც დაინახა სრული გათახსირება, ზნეობრივი სიდუხჭირე და სიმახინჯე მთავრობისა: მან უარგყოთ თქვენ, როგორც მოქალაქენი და პირდაპირ მუქარით მოგმართათ, რომ თქვენ არ ხართ ღირსი მანიფესტში გამოცხადებული „მოუყალებისა“, არა ხართ მოქალაქენი, რომ თქვენ მომავალშიაც უნდა ზიდოთ შემარცხვენელი, დამამცირებელი უღელი პირუტყვისა, რომ თქვენი ხვედრი სიღარიბეში სიბეჩავეში სიკვდილია; თქვენ არ ხართ ღირსი კავშირი შეადგინოთ და მით დაიცვათ თქვენი ინტერესები, ისარგებლოთ თქვენი შრომის ნაყოფით. რისთვის, რა დააშავეთ თქვენ? ის რომ დღემდის ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში იყავით, მონურათ სდუმდით, წარმოუდგენელ ექსპლოატაციას ურიგდებოდით, მთავრობი თქის ქედ მოხრილი მუშობდით, ცოლშვილი სიღატაკეში გყავდათ მიუხედავათ შეუწყვეტელი ოფლის ღვრისა; დღეს ყოველივე ეს დაინახეთ და ერთ ხმათ დაიძახეთ: კმარა მონობა, კმარა მტარვალისათვის ოფლის ღვრა, დროა მოპოთ ხალხის მოსისხლე მტრის სამსახური, კმარა რაც მსხვერპლი შეიწირა მოლოხმა, რუსეთის მთავრობამ. დააშავეთ ის, რომ დღემდის უტყვათ იყავით, მონურათ სდუმდით, ექსპლოატაცია თქვენი თანდაყოლილი ბედი გეგონათ, წელზედ ფეხს იდგამდით და ვაებით შოვობდით ლუკმა-პურს; დღეს ენა ამოიდგით და თქვენი ხმა რუსეთის მშრომელი ხალხის ხმას შეუერთეთ. ეს არის თქვენი დანაშაული და აი ამისთვის გაწიოკებსთ თვითმპყრობელობის მთავრობა, გემუქრებათ და გაშინებთ, არ გაბედოთ და თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვში არ მოექცეთ, თქვენც არ დაიმსახუროთ სახელი და მადლობა თქვენც არ გაიუმჯობესოთ თქვენი მონური მდგომარეობა, თქვენც არ ჩაერიოთ მებრძოლთა რაზმში და არ გახდეთ მონაწილე რუსეთის დიდი რევოლიუციისაო. მაგრამ თქვენ უკვე გადააფურთხეთ მთავრობის მოქარას და კრძალვის და მორჩილების მაგიერ შეურიგებელი ბრძოლა განუცხადეთ დურნოვო—სევალტიანოვიზს. უეჭველია თქვენ თავიდგანვე იცოდით, რომ ბრძოლა თქვენგან დიდ მხნეობას მოითხოვდა, რომ ასეთი ბრძოლის დაწყება და მერმე უკან დახევა ისეთი დამარცხებაა, რომელიც ათასჯერ უფრო გააუარესებს და გაათახსირებს თქვენს ცხოვრებას, რომ ასეთი უკუქცევა ზნეობრივათ დაგცემთ და ზიანს მოუტანს საერთო საქმეს. დიახ, იცოდით ეს და ამით იხსნება თქვენი საკვირველი ერთსულობა, მაშ ჯერ კიდევ ბრძოლა: გახსოვდეთ ყოველწამ, რომ დღეს მარტო თქვენ არ ხართ შეეიწროებულ მდგომარეობაში. რამდენ პატიოსან მუშას შიმ და სწყურია დღეს, რამდენს პირმშო შვილი უკვდება სიცივით, რამდენია მოშორებული თავის კერას, რამდენის გულს გმირავს მტარვალი მთავრობის ტყვია. მაგრამ ხომ იგემეთ საერთო საქმის ინტერესი, ხომ მოხვდა და ალაფრთოვანა თქვენი გრძნობა საყოველთაო ბედნიერების სიყვარულმა. მაშ გასწიეთ იქით, საითკენაც გიწვევთ და გეზიდებათ ეს გრძნობა, მიეცით ფართო გზა საერთო საქმის სიყვარულს, არ შედრკეთ ერთ წუთსაც, ხომ ხედავთ რომ წინ მიგიძღვით უძლეველი დევ-გმირი, შეუპოვარი, ძლევამოსილი, თვითმპყრობელობის დამმარხველი რუსეთის პროლეტარიატი. მისი ვამარჯვება თქვენი გამარჯვებაა და მისი ბედნიერება თქვენი ბედნიერება. მაშ წინ, გაფიცულნო, წინ მიზნისაკენ; კიდევ მხნეობა, კიდევ შეუდრეკელობა, კიდევ გაკაჟება და გამარჯვება შორს აღარ არი.

პრესა

ცნობის ფურცლის გოდება.

„სხივი“-დან.

„ცნ. ფურცელი“ მოყვა გოდებას, რატომ კვირის მიტინგმა „სხივი“ იცნა ღირსათ გამოსვლის და არა „ცნ. ფურცელი“! რატომ?-იმიტომ რომ „სხივი“ ორგანოა იმათი, ვინც ახდენს გაფიცვებს, ვინც ბატონობს ჩვენში პოლიტიკურ ასპარეზზე, ვინც დიდი ხანია იბრძოდა და იბრძვის, ვინც დაჩაგრულია და წამებული და აი, როცა საერთო გაფიცვა—ის აჩერებს ყველაფერს, გარდა რასაკვირველია, თავისი ლიტერატურისა. წინეთ, დიდი გაფიცვების დროს, მარტო ჩვენი ორგანიზაცია სცემდა ბიულეტენებს, ფურცლებს, ტელეგრამებს და სხ. სცემდა ჩუმათ, ნოტიო სარდაფებში ახლა კი შეძლება მოგვეცა მაღლა, წმინდა ჰაერში დავბეჭდოთ ყველა ეს, რასაც წინეთ ჩუმათ ვბეჭდავდით და აი „ცნ. ფურ.“ ამხედრებულა ამის წინააღმდეგ, ან ჩვენც დავბეჭდავთ, ან ჩაბრუნდით სარდაფშიო! დაბეჭდეთ, განა ჩვენი

რედაქცია გიშლის! და თუ თქვენი ამწყობნი არ გიწყობენ და არ გიპეჭდავენ — ამის მიზეზი ხართ თქვენ და არა ი'ინი. ალბათ თქვენ არ ვცნობენ მუშათა კლასის დამცველათ. მრავალ ათასიან მიტინგის მსჯავრი რასაკვირველია არ მოგწონთ, მარა ეს ეს ჩვენი ბრალია? რასაც დათესთ, იმას მოიმკით. ან და რა წილი მიგიძღვით დღევანდელ საერთო გაფიცვაში?

„ცნ. ფურ." ეონია, რომ მას პოლიტიკური მიმართულებისათვის აჩერებენ. ნამდვილათ კი აჩერებენ, არა მარტო ამას, არამედ ყველას, რადგანაც საერთო გაფიცვაა. გამონაკლი წინათაც იყო და ახლაც არის. წინათაც ჩვენ ვ'ცემდით ბიულეტენებს და ახლაც ვსცემთ. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ წინეთ ის იბეჭდებოდა სარდაფში — ხოლო ახლა წმინდა ჰაერში. „სხვა სარევოლიუციო პარტიებს არ უნდა შეეძლოთ გამოსთქვან თავიანთი აზრები, მიაწოდონ თავის მომხრეებს საჭირო ცნობები"? კითხულობს „ცნ. ფურ." რომელი გაფიცვის დროს იყო „ცნ. ფურ." პარტია, რომ ცნობებს აწვდიდა ვისმეს აქ, თფილისში?

ვიმეორებთ, საერთო გაფიცვაა გამოაცხადა კვირას მიტინგზე. „ცნ. ფურცლელები" იქ უნდა მისულიყვენ და თავისი პლანი ეა ოეყენებიათ. ეს კი არ მოიმოქმედეს, მიტინგებს არ ეკარებიან და ახლა მოთქვამენ.

ბოლოს „ცნ. ფურ." ასე მუქრება: „ვ'ფრთხალ'ებ" მხოლოთ ჩვენებურ სოციალდემოკრატიის მეთაურთ, შესაფერ პასუხს გავ ეემთ ყოველ მათ ძალმომრეობას, არავის არ დავუთმობთ ჩვენს პირადუნებათ, და შეურყეველათ დავიცავთ ჩვენს რწმენას, რომელიც უფრო წმინდა და ცხოველმყოფელია, ვიდრე არის მათი დახავ ებული და გაყინული, დოგმა".

ცხენს ვერ შესწვდა და კეხს დაუწყო მსხვრევაო — ნაოქვამია ხალხს ვერ შესწვდა ეს ახირებილი გაზეთი და „მეთაურებს" წვდება. მას ჰგონია, თუ „მეთაურები" არა, ხალხი მისკენ იქნება! — ხალხი მისი აზრით ფარაა, საითკენაც მეთაური გარეკს, იქით მიდით! და ამის შემდეგ კიდეც უკვირს, რომ მის გაზეთს ხალხი თავის გაზეთათ არ ცნობს.

ჩვენი რედაქცია ემორჩილება თფილისის მუშების გადაწყვეტილებას: „ცნობ ს ფურცელი" ჯანყობს. უკეთესი იქნებოდა ლანძღვის და მუქარის მაგიერ მას ისევ მუშებისათვის მიემართა, რომელიც გაფიცვას ახდენენ და უძღვებიან.

ახალი ამბები.

—

*** ამ ბოლო დროს ქუთაისის ხაზინიდან მცხოვრებლებს გააქვთ თავიანთი მიბარებული თანხები და ქალალდის ფულს ახურდავებენ ოქროზე. მოსალოდნელი იყო, რომ ამდენხანს ქუთაისის ხაზინა უნდა გაკოტრებულიყო, მაგრამ ის დაემსგავსა შიოს მარანს: ოქრო რამდენიც უნდა გამოზიდოთ იქიდან, მაინც არ გამოილევა. ოქრო ხაზინაში კი არ ილევა, თურმე კიდეც მატულობს. მერე საიდან მატულობს? აი საიდან: ქუთათურებს გამოტანილი ფული შეაქვთ აზოვის ბანკში იმ იმედით, რომ ჩვენი ფული იქ უზრუნველყოფილი იქნებაო, აზოვის ბანკი წარმოადგენს გარანტიას? სრულიადაც არა, ყველა საკრედიტო დაწესებულების და მაშასადამე აზოვის ბანკის ბედ-ილბალი შეკავშირებულია ხაზინის ბედ-ილბალთან და თუ ხაზინა გაკოტრდა კერძო საკრედიტო დაწესებულებანიც ამ ბედს ეწევიან ამიტომ ვაფრთხილებთ მოქალაქეებს და ვურჩევთ, რომ არც აზოვის ბანკში, არც ერთ საკრედიტო დაწესებულებაში ფული არ შეიტანონ.

*** გუშინ საღამოს თეთრ ხიდთან ერთ აფიცერს შეხვედრია სამი სალდათი, „ჩესტი" არ აუღიათ; აფიცერმა შენიშვნა მი'ცა სალდათებს და კიდეც დაემუქრა. სალდათებმა უპასუხეს რომ შენისანა ხულიგანს სალამს არ ვაძლევთო. აფიცერი წავიდა. მაგრამ ბაღთან წამოეწია სალდათები და ძალზედ სცემეს.

*** გუშინ 9 საათზე, თფილისის ქუჩ. ვ. ჭილაძის სახლს თოლავდა ორი მუშა ტრიფონ დემეტრაძე და ი. გ — ძე. თოლავებს ფეხი დასხლტეთ და ჩამოვარდნილან. ერთი მადგანი სარება ჩამონცობია და მძიმეთაა დაჭრილი, ხოლო მეორე მსუბუქათ. დემეტრაძე თოფურიასეულ საავთმყოფოში დააწვინეს.

*** კვირას 18 დეკ. ქალაქის თეატრში წაიკითხავს საჯარო ლექციას გ. უხუთელი შემდეგ ტემაზე: „ფიზიონომია самодержавнаго правительства въ зеркалѣ дипломатическихъ сношеній Россіи съ грузіей." შემოსავლის მეოთხედი გადიდება დაზარალებულ გურულთა სასარგებლოთ.

*** შაბათს, 17 დეკემბერს, ქუთაისისის საურთიერთო ბანკის დარბაზში დანიშნულია ადგილობრივი სამეურნეო განყოფილების კრება, რომელმაც არსებითათ უნდა განიხილოს ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოწაფეთაგან წარდგენილი მოთხოვნილებანი შესახებ სკოლის საქმეების მოწესრიგებისა.

*** ქუთაისის ებრაელები ჯერ კიდევ ვერ ელირსენ ხორცის ჭამას. აგერ რამდენი ხანია მათთვის აქაურ საყასბოებში საქონელი ალარ იკვლება. ამის მიზეზათ ბევრ რამეს ასახელებენ, პარტიების სახელითაც-კი ამართლებენ ებრაელებისთვის ხორცის მოსპობას ყასბები, მაგრამ განა ეს დასაჯერებელია?

აქ რაღაც ინტერესებია თვითონ ყასბებ შორის, ისინი სარგებლობენ ხალხის სიბნელით და ებრაელების შესახებ რაღაც ხმებს ავრცელებენ. როგორც ვიცით ამ საქმის გამოსაძიებლათ კომისია არის დანიშნული და ნამდვილ მიზეზებსაც მალე გავიგებთ.

*** ქუთაისის სააქციო დაწესებულებაში მსახურობს, თურმე, მოხელე მიხაილოვი, რომელიც დღეს ძველ თამასუქებს გამოსდგომია, ფილიპე ჭელიძის სასმელების მაღაზიაში, გადუთვალიერებია სავაჭროს ანგარიშები და უთქვამს, რომ ამ ანგარიშებს ზოგს მარკები აკლია, ზოგს

ფელეტონი

კალეიდოსკოპი.

—

„ბელზებელი" თავისი ტელესკოპით ისევ „თამარას" ბაღშია და რიონის პირათ ამართულ უზარმაზარ შენობისკენ იცქირება. ეს სასამართლოს შენობა უნდა იყოს. დიახ, დიახ, სწორეთ ის არის. თუმცა შუადღის 12 საათია და არც კვირაა, არც სხვა რამ უქმი, მარა სასამართლოს ფართო კარიდორებში უწინდელი ჟრიამული ალარ ისმის, ცარიელია. მხოლოდ აქა-იქ წვრილი მოხელეები აჩრდილივით გამოჩდებიან და აჩრდილსავითვე სიცარიელეში ქრებიან. ზემო სართულის ერთ ოთახიდან ხან და ხან ყრუ ხმაურობა ისმის. ეს ვექილების კაბინეტიდან უნდა იყოს. ვექილები, თუმცა ღვთის მადლით საქმე არა აქვთ რა, დანიშნულ დროზე ფოშტის ცხენებივით მაინც იკრიბებიან თავის კაბინეტში. ფოშტის ცხენი რომ გაუგებარი არ დარჩეს, ერთ ამბავს მოგახსენებთ. რაჭაში ერთ ალაგას ფოშტის სადგური გააუქმეს და ცხენები სოფლელებს მიყიდეს. კარგა ხნის განმავლობაში ფოშტის ცხენები დანიშნულ დროს, როცა მათ წინათ ქერს აძლევდენ, ყოველი მხრიდან ფოშტის ყოფილ ს ხლთან თავს იყრიდენ და ფანჯრებში ცხვირს შეყოფდენ. ჩვენი ვექილებიც აიმ ფოშტის ცხენებივით ყოველ დღე სასამართლოში დაიარებიან, თუმცა იქ მათ კი ხანია „ქერს" ალარავინ აძლევს, მარა მაინც დაიარებიან, ისე, ზეპირათ, ჩვეულებისამებრ. ახლაც ნაფიცნი და უფიცნი ვექილნი გრძელ მაგიდას გარს შემოსხდომიან და ცხვირები ჩამოუშვიათ.

— არა, კაცო, ასე დარჩენა შეუძლებელია. ყოველი პროფესიის კაცი კავშირს ადგენს, ერთდება და შეერთებული ძალით იცავს თავის ინტერესებს. დროა, ჩვენც შევერთდეთ.

— რასაკვირველია, უნდა შევკავშირდეთ. თითქმის ყველა ქალაქებშია ვექილების კავშირი და ჩვენც უნდა შევუერთდეთ სრულიად რუსეთის ვექილთა კავშირს.

— კავშირის დიადი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ყველასათვის ცხადია. მარა ამასთან საჭიროა რომელიმე მებრძოლ პარტიას მივემხროთ. მე თუ მკითხავთ, უმჯობესია სოციალ-დემოკრატებს რომ მივემხრობოდეთ, რადგანაც ყველაზე ძლიერი და მომქმედი პარტია ეს არის.

— ოჰ, მუსიე ანტუან, უმაღლესი სასწავლებელი გაგითავებია და არა გრცხვენია, ამას რომ ამბობ?

— რატომ უნდა მრცხვენოდეს, არ მესმის, აქ სასწავლებელი რა შუაშია?

— როგორ თუ სასირცხვო არაა! განა ეს სოციალ-დემოკრატები ის დასელები არ არიან, სამშობლოს რომ უარყოფენ ბ დედა-ენას აბუჩათ იგდებენ...

— არა, ბატონებო! სირცხვილი ისაა, რომ პარტიის პროგრამა არ გაგიცვნიათ და ისე კიცხავთ და გმობთ მას.

— რა პროგრამა გინდა! განა ისინი არ იყვენ ჩვენი საუკეთესო მამულიშვილნი, უებარი მწერალნი და სათაყვანო მოღვაწენი რომ ლაფში ამოსვარეს?

— ჰო, თქვენ ჩვენი ბურჯების შესახებ ბძანებთ? იმიტომ ჯავრობთ, რომ დასელებმა თქვენი ძველი კერპები დაამსხვრიეს, რომელთაც თქვენ ბრმათ თაყვანსა სცემდით? პირ-იქით ამისათვის თქვენ დასელებს უნდა უმადლოდეთ. იმათ დაგიმტკიცესთ, რომ თქვენს ბურჯებს ძირი მთლათ გამომპალი ჰქონდა. ერთი სულის შებერვით თაკდაყირა დასცეს.

— ამას თუ გავყევით ჩვენ დავას ბოლო არ მოეღება, — ჩაერია დავაში ერთი მრგვალათ ჩასუქებული ვექილი, — მუსიე ანტუანი რომ სოციალ-დემოკრატების პროგრამას გაგვაცნობდეს, უჯობესია.

— დიდი სიამოვნებით.

მუსიე ანტუანი ჯიბიდან პროგრამას იღებს და კითხულობს. ყველანი ინტერესით ყურს უგდებენ. მუსიე ანტუანი კითხვას ათავებს.

— ჩინებულია! მე ვემხრობი სოც.-დემოკრატებს.

— მეც!

— მეც!

— პროგრამა კარგია და ავტონომიას რო არ უარყოფდენ, ძეც მივემხრობოდი.

— შენ დამასწარ, სწორეთ მაგის თქმა მანდოდა.

— მეც!

— მეც!

— პროგრამა რა თქმა უნდა ჩინებულია, მარა მაინც ვერ მივიღებ, მე ევოლიუციონისტი ვარ!

— იმე ქე არ გაგაჭირეს საქმე! კაცო, რა დაგემართათ — შენ დემოკრატი იყავი, შენ — ევოლიუციონისტი, შენ — რევოლიუციონერისტი და შენ კიდევ სხვა რამ ისტი. ბეჩა რა

სულ არ აქვს და უნდა მიაკრაო. ამ არამკითხე მოხელესაგან ნაიძულევ სავაჭროს პატრონს უყიდნია 5 მ. მარკები და დაუკრავს ანგარიშებისთვის. თან მოხელეს გაუფთხილებია იგი, რომ ნოქარს უსათუოთ „დოგოვორი შეუკარი“ თორემ ვაჭრობის ნებას არ მოგცემო. ხსენებული სააქციზო მოხელე ერთის მაგიერ სამჯერ ადგენს ოევიზიას, რათა სასმელების ვაჭრებმა გურულების უბაჟო არაყი არ იყიდონ.

ეს აქციზის მოხელე წინეთ გურიაში მსახურებდა და ახალი მოძრაობის გამო იძულებული შეიქმნა იქიდან გამოქცეულიყო. იქ მას თავის სასტიკი ხასიათით ცუდი სახელი დარჩეხია და როცა გურულების სასარგებლოთ მასთან აქ მივიდენ მისი ამხანაგები და დახმარება თხოვეს, მან ფეხის ბაკუნით და უწმაწური სიტყვებით მიმართა მათ: „როგორ ბედავთ და ფულებს აგროვებთ ისეთ ხალხისთვის, რომლებიც იარაღ ასხმული ჩვენ წინააღმდეგ მოდიანო“...

✓ პარტიიდან.

ხუთშაბათს 15 დეკემბერს სოციალდემოკრატიულ კლუბში მოხდა საერთო კრება სოც.-დემ. პარტიის ორივე ფრაქციისა. კრების საგანი იყო მეუმრავლესეთა და მეუმცირესეთა შეერთების საკითხი. შეერთებულმა კრებამ ერთხმათ დააღგინა რომ პარტიის გაერთიანება სასურველია, საჭირო, და შესაძლებელიც. კრებამ უარყო ფედერატიულ პრინციპზე შეერთება და მიიღო მეორე კონფერენციის მიერ გამომუშავებული პროექტი სრული შეერთებისა. მაგრამ ვინაიდან ასე საჩქაროთ არ შეიძლება შედგეს სია პარტიის წევრების და გაფიცვის გამო რაიონები ვერ მიიღებენ მონაწილეობას ამ არჩევნებში; საერთო მოქმედება კი საჭირო არის დღევანდელი რევოლიუციონური მომენტის გამო. კრებამ დაადგინა იქნეს საჩქაროთ ამორჩეული დროებითი კომიტეტი იმ პარტიის წევრების მიერ, რომელიც ქუთაისში და მახლობელ რაიონებში არიან დიდი აღტაცება და ენტუზიაზმი გამოიწვია შეერთებამ. კრება დაიხურა და რევოლიუციონური სიმღერების შემდეგ დაიშალა

სასოფლო თვითმართველობა.

პროექტი.

თვითმპყრობელობა ფაქტიურათ გაუქმდა; მისი მართვა-გამგეობის მექანიზმი დაიმ ხვრა, ცხოვრებამ ძველი საზღვრები გადალახა და მასთან ძველი შემხუთავი ფორმები ადგილობრივი თვითმართველობისა მოსპო. ახალ ცხოვრებას, ახალ შინაარსს ახალი ფორმები და ახალი ნორმები სჭირდება. აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციონურათ გამოლაშქრებული ხალხი ახლავ შეუდგეს ადგილობრივი თვითმართველობის შემუშავებას. ამიტომაც ვაწვდით მკითხველს სასოფლო თვითმართველობის პროეკტს.

1. ყოველ სასოფლო საზოგადოებაში, ადგილობრივ საზოგადო საქმეებს საწარმოებლათ, შემოღებულ უნდა იქნეს თვითმართველობა.

2. ამ მიზნით თვითეული სასოფლო საზოგადოება ირჩევს ერთი წლის ვადით, საზოგადოების სივრცის მიხედვით, თუთხმეტიდან ოცდაათამდე წარმომადგენელს.

3. რათა წარმომადგენელი ეყოლოს ყოველ სოფელს, როძელიც საზოგადოებას ეკუთვნის, წარმომადგენელთა რიცხვი უნდა განაწილდეს სამართლიანათ, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ამ საზოგადოების ყველა სოფელთა შორის.— მთელი საზოგადოების წარმომადგენელთა რიცხვის განსაზღვრა და მათი განაწილება სოფელთა შორის უნდა მოხდეს ყველა სოფელთა ერთ საზოგადო კრებაზე.

4. თვითეული სოფელი ცალკე ირჩევს იმდენ წარმომადგენელს, რამდენიც მას წილად ხვდა, და აგრეთვე ერთს კანდიდატს იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა, წარმომადგენელი გარდაიცვალა, ავათ გახდა, დიდი ხნით სხვაგან წავიდა, ან თავის მოვალეობას თავი დაანება.

5. არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს და არჩეულიც იქნეს ამ სოფლის ყოველი მცხოვრები, ვინც კი სრული ოცი წლისაა, გინურჩევლათ ქონებისა, წოდებისა, სქესისა და ეროვნებისა (თავადს, აზნაურს, გლეხს, მდიდარს, ღარიბს, ქალს, კაცს, ქართველს, სომეხს და სხვას)

6. მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს მხოლოთ ოც წელზე უფრო ახალგაზდათ, სულით ავთმყოფთ, პოლიციის მოხელეთ, სასამართლოში გამტყუნებულთ, და მიცემულთ ავაზაკობისთვის, ქურდობისთვის, მიბარებულ ქონების მითვისებისთვის, ან გაფლანგისთვის, მოტყუება-გაბრიყვებისთვის, მევახშეობისთვის და სხვა ამგვარ სამარცხვინო ბოროტ-მოქმედებისთვის.

7. არჩევნები ხდება საიდუმლოთ ხმის მიცემით და პირდაპირი მონაწილეობის მიღებით. ვექილობით ხმა არავის მიეცემა.

8. არჩეულათ ჩაითვლება მხოლოთ ის, ვისაც კრებაზე გამოცხადებულ ამორჩეულთა ნახევარზე მეტი ხმა მოუვა.

9. საზოგადოების წარმომადგენელთა კრება შეადგენს **სასოფლო საბჭოს.**

10. სასოფლო საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ მაინც. შემდეგი კრება, თუ თითონ საბჭომ არ დანიშნა, მას იწვევს გამგეობა, ან საბჭოს თავმჯდომარე.

11. საბჭოს კრება და გადაწყვეტილება კანონიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დაესწრება საზოგადოების წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი. სხდომის სახელმძღვანელოთ და წეს-რიგის დასაცავათ საბჭო ირჩევს წარმომადგენელთა შორის, ერთი წლის ვადით, თავმჯდომარეს.

12. ადგილს, სადაც უნდა გაიმართოს საბჭოს სხდომები, არჩევს თვითონ საბჭო ხმის უმეტესობით იმ პირობით, რომ ეს ადგილი არჩეულ იქნეს, შეძლების და გვარად, საზოგადოების შუა გულში.

თქმა უნდა, ავტონომიაც კარგია და ფედეოაციაც, მარა კუჭისას აფერს იტყვით? ხომ ხედავთ ამ ჩვენ სუდში ალარავინ მოდის იმ შეჩვენებულმა კამიტეტმა ლუკმა მოგვისპო. ყველანი სამედიატორო სასამართლოს მიმართავს. დღე ერთია და მთხოვნელი ორმოცი! არ იფიქროთ სუდში საქმის დაცვას გთხოვდენ. ჭირმაც არ შეგჭამოთ. იხვეწებიან, მედიატორეთ დაგვიდექიო. ხან იქით გაჩანჩალებენ, ხან აქეთ. სამიკიტნოს აბლაკატები გაკეთდენ, კარგა ბლომათ ახდევინებენ ფულს მედიატორობაში. ჩინებულათაც შვრებიან, მუქთათ რა პირობაში უნდა იჩანჩალონ. მე მგონია, ურიგო არ იქნება, რომ რამე ნიხრი დავაწესოთ და ცოტათი მაინც საქმე გამოვაბრუსოთ.

— შრომას, რა თქმა უნდა, დაჯილდოვება უნდა, მარა ჩვენ ხომ იზვოშჩიკები არა ვართ, რომ შრომის ფასი ნიხრით ვახდევიოთ. ისევ ყოველ შემთხვევაში ნებაყოფლობით უნდა მოვურიგდეთ.

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი!

— ბატონებო, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, მომისმინეთ,—კვლავ განაგრძობს ლიპიანი.— ქალაქის დროებით მთავრობიდან მოწერილობა მივიღე, ქალაქის გადასახადი შემოიტანეო, მარა რა ეშმაკი შევიტანო, მდგმურები არაფერს იხდიან და დუქნების დამქირავებელნი.

აი აგერ თხოვნა დაკწერე, მარა ეს ოხერი და მუდრეგი ზაკონების მთელი სვოდი გადავყლაპე და ეს შეჩვენებული ტოჩკა ზაპიტაია კი ვერ დავიმორჩილე! დამეხმარეთ შემასწორებიეთ.

კითხულობს.

„მის მაღალ კეთილშობილებას ბატ. ქ. ქუთაისის დროებით მთავრობის თავმჯდომარეს,

„მივიღე თქვენი მოწერილობა დაუყონებლივ შემოვიტანო ქალაქის გადასახადი. აგერ ექვსი-შვიდი თვე გადის, რაც დამქირავებლები ქირას არ იხდიან. ისინი ამბობენ, რომ ახალმა მთავრობამ გაგვათავისუფლა ჩვენ ბინის ქირის გადასახადისაგანო. აღარაა პრისტავი, აღარაა სუდი, აღარაა პოლიცია, რომ მივმართო და დამქირავებლებს ქირა გადავახდევინო. მეტი გზა არაა, რადგანაც ერთი გროში არ მომეძევა, ფულის ნაცვლათ უნდა მოვართვათ სტოლები, სკამები. შკაფები, კრაოტები და, თუ ესენი გადასახადს ვერ დაფარავენ, მოგართმევთ აგრეთვე ჩემ გრძელ ტარიან ჩიბუხს“...

სხვა საინტერესო არაა. ვისაც დასასრული ეინტერესება ასლი შეუძლია გამოიტანოს დროებითი მთავრობის კანცელარიიდან. ადრესი: ქალაქის ყოფილი სალაყბო.

სახელმწიფო კასებსა და ხაზინას ხალხი ჭიანჭველასავით მისევია და ქალალდის ფულის ოქროზე გადაცვლას ითხოვს. მთავრობას ოქრო შემოლევია და ჩინოვნიკები ხალხს ზავტრა, ზავტრას ეძახიან. მთავრობა კრიტიკულ მდგომარეობაშია, რა ქნას! თავის კოტრათ გამოცხადებაც ეძნელება და საქმის ნამდვილი ვითარების დაფარვაც შეუძლებელია. მარა ვიტე დიდი ეშმაკი კაცია. ოინბაზობაში ჩვენი ფოთელი დიდი ნიკო შეგირდათ გამოადგება. ამ საშინელ მდგომარეობიდან თავის დასახწევათ აი რა ხერხი მოუგონია. სხვა ბნელ ძალებთან ერთათ მას თაგვები და ვირთხებიც დაუქირავებია და ქალალდის ფულების დალრღნა-დაწკწვა დაუვალებია. გასამრჯელოთ, რადგან ხაზინაში ოქრო აღარ ქონიათ, ქალალდის ფულის მიღებაზე კი ვირთხებსაც და თაგვებსაც უარი განუცხადებიათ, ვიტე ყოველ ას მანეთ ქალალდის ფულის მოსპობაში თაგვებს თითო მისხალ ბურჟუების ქონი დაპირებია. არა გჯერათ? მაშ გავიჭვრიტოთ ჩემს ტელესკოპში მეთევზეების დუქნებისაკენ და რაჭველ ხაბაზის, ანტონა ვაჩაძის სათონეში შევიხედოთ.

ანტონას თონესთან გაშლილ ლოგინზე ტკბილათ ძინავს. სასთუმალ ქვეშ ათი თვალის წარმტაცი ასიანი ამოუდვია, რომელიც ხვალ ოქროზე უნდა გადააცვლევინოს. შეხეთ, შეხეთ სოროებიდან თაგვებს თავი გამოუყვიათ და ანტონას სასთუმლისკენ იცქირებიან. აი, თაგვებმა სასთუმალთან მოირბინეს და გაცხარებით წეს წენ და გლეჯენ ასიანებს. ანტონა უცებ ზეზე წამოვარდა; თაგვები ფაცხა-ფუცხით სოროებში იმალებიან. ანტონას ხელში ასიანების ნაკუწები უკავია და ღაპა-ღუპით ჩამოსდიცრემლები.

მოქალაქენო, ნუ აყოვნებთ, მიაშურეთ ხაზინას და გადააცვლევინეთ ქალალდის ფული ოქროზე, თვარა თაგვები თქვენც მალე გეწევიან!

ბურჟუებო! ეცადეთ არ ჩაუგდოთ თაგვებს ფულები, თვარა, ხომ იცით, თქვენი ქონით აგებთ პასუხს მათ წინაშე!

ბელზებელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბჭოს ᲘᲮᲓᲝᲛᲔᲑᲡ უფლება აქვს დაისწროს გარეშე ხალხი იმ პირობით, რომ სჯა-ბაასში და საქმის გადაწყვეტილებაში არ ჩაერიოს.

13. სასოფლო საბჭოს მოვალეობას შეადგენს ყოველივე ადგილობრივი საზოგადო საქმის განხილვა და გაკეთება, მაგალითათ: 1) გზებისა და ხიდების გაუმჯობესება: ახლების გაკეთება და ძველების შესწორ-შეკეთება; 2) ფოშტის კანტორის გახსნა და კორესპონდენციის მიტანმოტანის მოწყობა; 3) ხალხის დაცვისთვის შეიარაღებული მილიციის შედგენა; 4) ხალხის განათლებაზე ზრუნვა: მასწავლებელთა მოწვევა, სკოლების, წიგნთ-სავაჭროების, წიგნთსაცავების, სახალხო სახლისა და სამკითხველოების გახსნა; 5) ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა: ექიმის მოწვევა, საექიმოსი და საავათმყოფოს გახსნა, სოფელში ნაკელის გაჩერების აკრძალვა, მდინარეების, სასმელი წყლის და საზოგადოთ სოფლის სიწმინდეზე ზრუნვა, აბანოს გაკეთება, გადამდებ სენის (ᲮᲝᲚᲔᲠᲐ, ჭირი და სხვა) წინაადმდეგ საჩქარო ზომების მიღება; 6) დავრდომილთა და ღარიბთათვის თავშესაფარის მოწყობა და პატრონობა; 7) სიმშილობის დროს ხალხისთვის დახმარების ამოჩენა: ფულის შეგროვება, საზრდოს ყიდვა და გაჭირვებულთა შორის განაწილება; 8) სამეურნეო იარაღებისა და თესლის საწყობის გახსნა; 9) საზოგადო მიწების, ტყეების, საბალახოების და სარწყავი წყლების სარგებლობის მოწესრიგება, 10) საკრედიტო დაწესებულების გახსნა და სხ.

14. თუ საბჭოს განკარგულებამ რომელიმე საგნის შესახებ დიდ ხანს უნდა გასტანოს, სასოფლო საბჭოს შეუძლია გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, მაგალითათ, შესახებ საზოგადო ადგილების სარგებლობის მოწესრიგებისა და სხვა.— სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის იქვე აღნიშნული უნდა იყოს ჯარიმა, ან სხვა სასჯელი.

15. საბჭოს ყოველივე გადაწყვეტილება, ანუ დადგენილება, უნდა ჩაიწეროს საამისო წიგნში საბჭოს თავმჯდომარისა, ანუ მდივნის ხელით.

16. საბჭოს ყოველივე დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ საბჭო ირჩევს ერთი წლის ვადით, **სასოფლო კამგეობას**, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და ორ წევრთაგან. ამათ უსათუოდ წერაკითხვა უნდა იცოდენ. ამათი არჩევა შეიძლება გარეშე პირთაგანაც (არა წარმომადგენელთაგან).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვინც საბჭოს თავმჯდომარეა, იმას არ შეუძლია გამგეობის თავმჯდომარეთ ან წევრათ იქნეს.

(შემდეგი იქნება).

ტელეფონი.

ჩვენ გვატყობინებენ თაილისიდან გამოსული სამხედრო მატარებელი სადგურ მცხეთის აქეთ ველარ მოდის.

ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ტელეგრაფის მავთულები მიხაილოვსა და მარელისს შუა დაგლეჯილია.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ. გვატყობინებენ ქალაქის საავითმყოფო ჯერ არ დაკეტილა მაგრამ კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲢᲣᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

1) რკინის გზების, ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვები და საზოგადოთ ხალხის მდელვარება ხელს უშლის ნორმალურათ საქმეების თავის დროზე გარჩევას სასამართლოში, რის გამოც ქუთაისის ციხის პატიმრები მთელი წლობით სხედან ციხეში საქმის გამოუძიებლათ.

ამიტომ მოვითხოვთ დაუყონებლივ განთავისუფლებულ იყვენ იგინი თავდების ქვეშ.

2) იმ პატიმართ, რომელთაც ნებადართული აქვთ თავდების ქვეშ განთავისუფლება, მიეცეთ ნება საჭირო ფულის მაგიერ ქონება დასდონ ზალოგათ.

3) განთავისუფლებულ იქნან ყველა სისხლის სასამართლოში მიცემული პოლიტიკური დამნაშავენი

4) ჩაერიცხოთ უკვე გასამართლებულ პატიმრებს ის დრო, როდესაც ეს პირნი პოლიციის მხედველობის ქვეშ იყვენ.

5) ზამთრობით სასტიკათ აკრძალული იყოს პატიმრების სხვა ადგილებში გადაყვანა, ვინაიდან კატორღაში გასაგზავნი ადგილობრივი პატიმარნი რუსეთის მკაცრ ჰავას ვერ იტანენ და იხოცებიან

6) გაუმჯობესებულ იქნას არესტანტების მდგომარეობა საავათმყოფოში, როგორც ექიმობის აგრეთვე სასმელ-საჭმელის მხრივაც.

7) დაევალოს ციხის ადმინისტრაციას თავის დროზე სრულათ, და მოთხოვნილების მიხედვით მოიტანოს ყოველი საჭირო სანოვაგე.

8) მიეცეს ავათმყოფ ტუსაღებს, რომელიც საავათმყოფოში არიან, სამზარეულოს მოსამსახურეებს და აგრეთვე სხვა დაზგის მუშებს თითო ჩაის ჭიქა ღვინო ხაზინის ხარჯზე, დანარჩენებს კი თავიანთ ხარჯზე.

9) ზდილობიანი მოპყრობა ტუსაღებისადმი ციხის ადმინისტრაციისაგან

10) დაუყონებლივ ჩაისვას ყველა ფანჯრებში შუშები.

11) ტუსაღები არ უნდა გაიგზავნოს კავკასიიდან სასჯელის მოსახდელათ.

12) მოსპობილ იქმნას ბორკილების, ხუნდების და სხვა გამასხვავებელ ნიშნების ტარება.

13) მიეცეს ყველა ტუსაღებს ნება ატარონ საკუთარი ტანისამოსი სურვილისამებრ.

14) მსაჯულები უნდა იყოს ხალხის მიერ არჩეულნი.

15) მოსპობილ იქნას პოლიციის მხედველობა ᲥᲐ დაუბრუნდეს სუდით გასამართლებულთ ჩამოხდილი ღირსებები.

16) სასჯელის ვადა ტუსაღებისთვის არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს; ვინც უკვე ზის ხუთი წელი, ის უნდა განთავისუფლდეს დაუყონებლივ.

გარდა ამისა ქუთაისის ციხემ დაადგინა გამოეხადოს თანაგრძნობა ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოხელეებს და რკინის გზის მოსამსახურეებს; ზიზღი და გაკიცხვა დურნოკო-სევასტიანოვს და კომპანიას.

სოფლათ

ᲔᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ (ქ. მაზრა). ეს საზოგადოება ელვის სისწრაფით მიეშურება სინათლისაკენ, მან უკვე იცის თუ რისთვის იბრძვის და აი კიდევ შეუდგა ცხოვრებაში თავის იდეების განტარებას. ის თავის იდეიას არავის ათელვინებს და თავის მებრძოლ ძმას, პროლეტარიატს, ყოველ ყამს ფსიზლათ უდგია გვერდში. მარჯვენა სელში მას უპურია ორივე პირათ ბასრი მახვილი, მარცხენაში კი წითელი დროშა, რომელზედაც აწერია ოქროს ასოებით პირველათ „პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!“ მერმე კი ძმობა, ერთობა, თავისუფლება და თანასწორობა. მახვილით ის იცავს ამ დიდებულ სიტყვებს; მახვილის მარცხნით მოქნევით ისმ უსრს ავლებს დამყარებულ მთავრობას, მარჯვნისკენ მიქნევით კი თავზარს სცემს ბურჟუაზიას.

არა ერთს და ორ აქაურ გაღატაკებულ გლეხს უგეია მათრახი, ტიხე და გაგასხლება. შარშან მაზრის უმფროსმა-დ დადიშკელიანმა გვისახულა თავისი ამალით. დასწყვა საზოგადო ერიდობაზე, ჩემ მაზრაში მარტო ეწერია ბუნტოვჩიკების ბუდე და ამ ბუდის ძირანფესვიანთ ამოგდებაა ჩემი დევიზი; გაეცით თქვენი სტუდენტი-შვილები,*) რომლებიც გაქვეზებენ მთავრობის დამხობაზე თორემ მთელი საზოგადოება დაისჯებაო; შემდგომ დაიწყო ოსუნჯობა „სტუდენტ-შვილებზე“ და სიქმე დამთავრა იმით რომ დაიჭირა რამდენიმე გაღატაკებული გლეხი და ქუთაისის ციხეში უკრა თავი, მხოლოთ ერთი მუშა კი რუსეთში გადასახლა, რომლის დასჯერ-მოსაძებნათ არა ერთ გრეშს აიღებდენ ქვემძრომი ჯაშუშებია, რომლებიც ახლა მუსლ მოდრეკით ეკვდრებიან, როგორც საზოგადოებას ისე დაჭირულთ და ესვეწება პატიებას. წარულს დიდ მარსვაში კიდევ გაისვარდა პოლიციამ ეწერში ქურდულთ და—ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ მუშაკი ჯერ ქუთაისის ციხეში და შემდეგ უკრა თავი; ახლათ ქუთაისის მეტიხოვნენი და ტუსაღები არ ამიბუნტოსო. ამ უგანსაჯენელმა დაჭირვამ ძალზე აღელვა საზოგადოება და მოინდომა არ გაეტანებია ჯალათებისათვის თავისი შვილი, მაგრამ შეგნებულმა მუშებმა დაამშვიდეს საზოგადოება და აღუთქვეს საშურისძიებო დროის ცნობა მომავალში.

ამ საქმეში საზოგადოების თვითეული სოფელი დაიარსებს მუშათა კლუბებს ᲥᲐ მასთან სამეთოსკელოებს. მხოლოთ ეწერში არსდება ბიური და ცენტრალური კლუბი, სადაც პარტიის წევრები ამა საზოგადოებისა ითათვირებენ პარტიულ საკითხებზე და კლასიურ წინააღმდეგობის მტკიცეთ შეისწავლონ. ლექციების კითხვა იქნება თითეულ სოფლის კლუბებში, მხოლოთ მთელი საზოგადოებისთვის სოფ. ეწერში ცენტრალურ კლუბს კავშირი ექნება სამტრედიის ცენტრალურ ორგანიზაციასთან.

თითქმის ეს საზოგადოება გაზეთების ბირჟათ გადაიქცა; ყოველ დღე ატარებენ ქუჩებში პარკით გაზეთებს და ყიდიან ხალხზე. „სხივის“ გამოსვლამ დასცა ბურჟუაზიულ გაზეთების ბირჟა ამ საზოგადოებაში. კლუბებმა გამოიწერეს ჯერჯერობით „სხივი“ და „ნაჩალო“. სამტრედიის ქალაქს და სადგურს იცავს წითელი რაზმი. პოლიციის და ყანდარმების ჯაჭვნება არსაითაა. ამ დღეებში საპოლიციის კაზაკები ესტუმრენ სამტრედიას, წინანდელი კაზაკები თფილისაკენ გაისტუმრეს წითელ დროშიან მატარებლით.

ბაცია.

*) ასე უწოდებს ქარხანა-ფაბრიკების მუშებს. იმ ხანებში აქ სტუდენტი ერთი იყო და ისიც სამი წელიწადია აქ არ ყოფილა, გერმანიაში, სამთო აკადემიაში სწავლობს.

რედაქტორ - გამომცემელი
გ. ლორთქიფანიძე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ
ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲗ.

ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა კავშირი ამით აცნობებს თავის წევრთ, რომ 20 ამ თვისათვის გაზეთებში გამოცხადებული საზოგადო კრება რკინის გზების გაფიცვის გამო გადადებულია შემდეგ დროისთვის, რაიც გამოცხადებული იქნება „სოციალ-დემოკრატიულ ფურცელში და „სხივში“.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ ᲡᲘᲠᲐᲯᲘ ᲨᲔᲭᲓᲐᲯᲘ Ი. ᲫᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲡᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ, ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲨᲐᲜᲯᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ.